ზედაზნის მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ავტოსადგომის მოწყობა

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მიმოხილვა

რეგიონალური განვითარების მესამე პროექტი
დაფინანსებული მსოფლიო ბანკის მიერ

ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ზედაზენის მონასტერთან (მცხეთის მუნიციპალიტეტი) მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო გზა (სიგრძე 6305 მ) იწყება სოფელ საგურამოში და სრულდება ზედაზენის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ქვე-პროექტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

- მიწის ვაკისის რეაბილიტაცია. მიწის ვაკისის არსებული სიგანე შეადგენს 4,5=6 მეტრს. გზას ორივე მხრიდან მიუყვება 0,5-1.0 მ სიგანის გვერდული. არსებული ვაკისის გაფართოება არ არის დაგეგმილი.

- გზის საფარის რეაბილიტაცია. ქვე-პროექტით გათვალისწინებულია 3 ტიპის საფარის მოწყობა:

  - ბეტონის საფარის მოწყობა სოფელ საგურამო ფარგლებში (პკ0+00 – პკ19+60, 1960 მ);
  - ღორღის საფარის მოწყობა (პკ19+60 – პკ 61+00, 4140 მ);
  - გრანიტის ქვაფენილის მოწყობას, სიგრძით 205 მ. ქვაფენილით გათვალისწინებულია ავტოსადგომის მოწყობა, ავტოსადგომიდან მონასტრის მიმართულებით, ასევე მონასრტის გარშემოვლითი გზის მოწყობა.

- 10 წყალგამტარი მილის დემონტაჟი და ახალი წყალგამტარი მილების მოწყობა;

- 4 ახალი წყალგამტარი მილის მოწყობა;

- 133 მ სიგრძის და 1 მეტრი სიმაღლის რკინაბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა გზის ბოლოს (პკ 61+90-დან);

- ტურისტების უსაფრთხოების მიზნით პკ61+90-დან პკ 62+08-მდე, გზის მარჯვენა მხარეს ლითონის დამცავი ბადის მოწყობა;

- 23 მიერთების მოწყობა ასფალტობეტონის საფარით და 6 მიერთების მოწყობა ღორღოვანი საფარით, 35 ეზოში შესასვლელის მოწყობა ასფალტობეტონის საფარით და 2 ეზოში შესასვლელის მოწყობა ღორღოვანი საფარით;

- საგზაო ნიშნების მოწყობა და ლითონის ბაგირის შემოღობვის მოწყობა გზის საშიშ მონაკვეთებზე;

- გრანიტის საფარველის მოწყობა მონასტრის მთავარი შესასვლელიდან გვერდით შესასვლელამდე მონასტრის კედლის გასწვრივ (სიგრძე 170 მ, სიგანე 3-4 მეტრი).

გარემოსდაცვითი სკრინინგი და კლასიფიკაცია

(ა) ზეგავლენის დადგენა

აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტს აქვს მცირე უარყოფითი ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე და სავარაუდოდ მას ექნება გრძელვადიანი დადებითი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.
რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	ქვე-პროექტის გარემოზე ზეგავლენა ძირითადად მოსალოდნელია სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებსი დროს, რომელიც მოიცავს მიწის ვაკისის მოწყობას, მძიმე ტექნიკის მოძრაობას, მასალების მიტანას. მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელია, რომ იქნება მოკლევადიანი: სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების შედეგად მოსალოდნელია რომ გაიზრდება მტვრის და გამონაბოლქვის ემისიები სამშენებლო მექანიზმების და ტრანსპორტის ოპერირების გამო, გაიზრდება ხმაურისა და ვიბრაციის დონე ფონურთან შედარებით, მოსალოდნელია სხვადასხვა ტიპის სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა, ასევე, ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებები. სარეაბილიტაცი გზას ორივე მხრიდან ესაზღვრება თბილისის ეროვნული პარკი. ქვე-პროექტის განხორციელებისას ძირითადი საფრთხეები დაკავშირებულია ეროვნული პარკის ტერიტორიის დაზიანებასთან (მცენარეული საფარის, გზის გასწვრივ არსებული ხეების, ფაუნის შეწუხება) არასწორად დაგეგმილი და განხორციელებული სამუშაოების გამო. სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებამ და მძიმე ტექნიკის ინტენსიურმა მოძრაობამ შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორების შეწუხება. ტურისტული სეზონის დროს გზის რეაბილიტაციამ შესაძლოა შექმნას პრობლემები შეუქმნას ტურისტებისა და ვიზიტორების ტრანსპორტირებას. ოპერირერბის ფაზაზე ტურისტული ნაკადის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, როგორიცაა ნარჩენების წარმოქმნის ზრდა, ვანდალიზმის რისკი და სხვა.

შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	ქვე-პროექტის გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება იქნება დადებითი (ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების საცხოვრებელი და სტრანსპორტო პირობების გაუმჯობესება). ვიზიტორთა რაოდენობისა და ტრანსპორტის მოძრაობის ზრდის ფონზე, გზის რეაბილიტაცუა მნიშვნელოვნად შეამცირებს მოძრაობის პრობლემებს, ხმაურისა და მტვრის ემისიებს და მიწის ეროზიას. ასევე, გაუმჯობესდება ადგილის ვიზუალური მხარე.

(ბ) შემამასუბუქებელი ზომები

რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტებისას	გზის რეაბილიტაციის პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნა ადგილობრივი პირობები, კერძოდ თბილისის ეროვნული პარკისა და ტყის საზღვრები, ასევე კერძო მიწის ნაკვეთებს მდებარეობა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებულია სამუშაოების განხორციელება ეროვნულ პარკში ან კერძო მიწებზე. ჩატარდა კონსულტაციები პარკინგის ადგილის შესარჩევად და შეირჩა ოპტიმალური მდებარეობა. გზის საფარის მოწყობის ალტერნატივების განხილული იქნა მონასტერთან ერთობლივად და შეირჩა მისაღები ალტერნატივა ტრანსპორტირების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.
ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?	გზის რეაბილიტაციის ფაზაში მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებების შემცირება ადვილად შესაძლებელია. კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება, რომ ნარჩენები განათავსოს შეთანხმებულ ადგილას, გამოიყენოს მხოლოდ ლიცენზირებული კარიერებიდან მოპოვებული ინერტული მასალა, თავიდან აიცილოს წყლისა და ნიადაგის დაბინძურება (საწვავის/ზეთების დაღვრა სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების გაუმართაობის გამო, ასფალტისა და ბეტონის ნარჩენებით დაბინძურება), მოსახლეობის შეწუხება (ხმაურით, მტვერით და ემისიებით) შერბილდება მუშაობის/ მასალების მიწოდების განრიგის დაცვის გზით, მოძრაობის მართვით, სამშენებლო მექანიზმების შესაბამისი მოვლით. სარეაბილიტაციო გზის ორივე მხარეს მდებარეობს თბილისის ეროვნული პარკის ტყის ჰაბიტატები. ქვე-პროექტით არ არის დაგეგმილი გზის მარშრუტის ან მისი სიგანის ცვლილება. შესაბამისად არ არსებობს გზის გასწვრივ არსებული დიდი ხეების მოჭრის აუცილებლობა, თუმცა შესაძლოა საჭირო გახდეს გზის

	გასვწრივ არსებული ბუჩქებზე ტოტების შეჭრა ხედვის არეალის გაუმჯობესებისათვის. ყველა მომუშავე იქნება გაფრთხილებული და აეკრძალება მცენარეული მასალების მოპოვება, ნარჩენების გადაყრა ან სხვა ნებისმიერი ქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს მიმდებარე ლანდშაფტს. გზის გასწვრივ არსებული ხეები დაცული იქნება მოჭრისაგან ან შემთხვევით დაზიანებისაგან მონიშვნით და შეღობვით, დაცული იქნება მათი ფესვები, თავიდან იქნება აცილებული ხეების ნებისმიერი სახით დაზიანება. სარეაბილიტაციო გზის გასწვრივ არ გვხვდება საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ხე-მცენარეები, გარდა ხელოვნურად გაშენებული რამდენიმე კაკლის ხისა სოფელ საგურამოში. ბოტანიკური და ზოოლოგიური შესწავლის დროს არ გამოვლენილია წითელ ნუსხაში შეტანილი მცენარეები, ცხოველები ან მათი სოროები გზის მიმდებარედ, რაც გამოწვეული უნდა იყოს ავტოტრანსპორტისა და ფეხითმოსიარულე ტურისტების ხშირი მოძრაობით ზედაზნის მონასტრის მიმართულებით. გზის რეაბილიტაციის დროს უნდა მოხდეს სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირება. ყველა მიწისქვეშა კომუნიკაცია, რომელიც კვეთს სარეაბილიტაციო გზას, გახსნილი უნდა იქნეს სამუშაოების დაწყებამდე და განთავსდეს შესაბამის სიღრმეზე გზის რეაბილიტაციის პროექტის მოთხოვნების გათვალისიწნებით.
წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	მგფ-ს ფართო გამოცდილება აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და დიდი მასშტაბის გზების და ქუჩების რეაბილიტაციის ქვე-პროექტების განხორციელებაში. წინა მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილებებიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე პროექტი ითვალისწინებს არა მარტო გზის საფარის რეაბილიტაციას, ასევე სანიაღვრე არხების და მილების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში გზის საფარის მოვლა-შენარჩუნებას.

ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?	მუნიციპალური განვითარების ფონდისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ორგანიზებული იქნა გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა 2017 წლის 19 დეკემბერს. საჯარო განხილვის ოქმი თანდართულია.

გ) კატეგორიზაცია და დასკვნა

სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით, ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც გარემოსდაცვითი კატეგორია:

A ☐

B ☒

C ☐

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვე-პროექტი უარყოფილია ☐
2. ქვე-პროექტი მიღებულია ☒

რისკების შეფასების საფუძველზე, ქვე-პროექტი საჭიროებს:

1. გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ☐

2. გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვას, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის შემუშავების ჩათვლით ☒

სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური ზემოქმედების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	ინფორმაცია ქვეპროექტების ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე)	✓*	
2	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ხელმისაწვდომობის შეზღუდვას სამეურნეო რესურსებზე, როგორიცაა მიწა, საძოვარი, წყალი, კომუნალური მომსახურება, საჯარო სივრცე ან სხვა რესურსებზე, რომლებზეც მოსახლეობა არის დამოკიდებული?		✓
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული პირების ან ოჯახების განსახლებას ან მოითხოვს თუ არა მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების (მუდმივ ან დროებით საჯარო ან კერძო საკუთრებაში არსებულის) შესყიდვას?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და შინამეურნეობის ინფრასტრუქტურის (როგორიცაა დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბეღელი, გარე საპირფარეშოები, სამზარეულო და ა.შ.) დროებით ან მუდმივ დანაკარგს?		✓
თუ ზემოთ დასმულ ნებისმიერ კითხვაზე პასუხი არის „დიახ“ (გარდა პირველი კითხვისა) მაშინ უნდა ამოქმედდეს უსაფრთხოების პოლიტიკა OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება, ხოლო შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს OP/BP 4.12 -ს და განსახლების პოლიტ-კის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			

კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგის ინფორმაცია		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?	✓	
თუ პასუხი მე-5 კითხვაზე არის „დიახ“ , მაშინ გამოყენებული უნდა იქნას მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკა **OP/BP 4.11 - ფიზიკური კულტურული რესურსები** და შემთხვევით აღმოჩენების განკარგვა უნდა განხორციელდეს OP/BP 4.11-ით და გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.			

***** გზის მონაკვეთი სოფელ საგურამოდან ზედაზენის მონასტრამდე რეგისტრირებულია როგორც სახელმწიფო საკუთრება. მიმდინარეობს გზის მონაკვეთის მცხეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაშო გადაცემის პროცედურები.

ტერიტორია, სადაც უნდა მოეწყოს ავტოსადგომი, ავტოსადგომიდან მონასტრამდე მიმავალი გზა და გზა მონასტრის მთავარი შესასვლელიდან გვერდით შესასვლელამდე რეგისტრირებულია როგორც სახელმწიფო საკუთრება (თბილისის ეროვნული პარკი), რომელიც გადაცემულია სარგებლობაში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიისათვის.

გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

1. შესავალი

1.1 საფუძველი

საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა მსოფლიო ბანკს მესამე რეგიონული განვითარების პროექტისთვის ფინანსური მხარდაჭერის (60 მლნ $) თაობაზე. პროექტის საერთო ღირებულებაა 75 მლნ $, მათ შორის 15 მლნ $ აფინანსებს საქართველოს მთავრობა. ქვე-პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციაა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

რეგიონული განვითარების მესამე პროექტის მიზანს წარმოადგენს ინფრასტრუქტურული მომსახურეობისა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაუმჯობესება, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერით. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული კუთხით დაგეგმილი ქმედებები რეგიონის ადგილობრივ მოსახელობას მოუტანს პირდაპირ სარგებელს: საჯარო ინფრასტრუქტურის საიმედოობის, ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესების, კერძო სექტორის ინვესტიციების მოცულობის გაზრდის, განახლებული კულტურული მემკვიდრეობის ადგილებსა და ქალაქებში გაყიდვების რაოდენობის გაზრდის (ტურიზმთან დაკავშირებული საწარმოები) გზით. საერთო ჯამში, მოსალოდნელია მოსახლეობის შემოსავლის ზრდა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

ზედაზნის მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია არის რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ნაწილი, რომელიც მომზადდება, განიხილება, დამტკიცდება და განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკების შესაბამისად.

1.2 ინსტიტუციონალური სტრუქტურა

საქართველოს **მუნიციპალური განვითარების ფონდი** არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრად საფუძველზე გაუმჯობესებას. მუნიციპალური განვითარების ფონდი არის რეგიონული განვითარების მეორე პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ მართვაზე, გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების ჩათვლით.

მუნიციპალური განვითარების ფონდი ამზადებს და მსოფლიო ბანკს წარუდგენს რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში ქვე-პროექტების შეფასების ანგარიშებს, რომელთაც თან ერთვის ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების დოკუმენტები, როგორიცაა გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმასთან ერთად ან გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა, რომელიც მომზადებულია მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების

გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის გამოყენებით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, განსახლების სამოქმედო გეგმა.

მცხეთის მუნიციპალიტეტი იქნება პასუხისმგებელი რეაბილიტირებული გზისა და ავტოსადგომის მოვლა-პატრონობაზე.

1.3 კანონმდებლობა და ნორმები

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ქვე-პროექტი არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

ქვე-პროექტი უნდა განხორციელდეს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების შემდეგი დოკუმენტების შესაბამისად:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების უსაფრთხოების პოლიტიკა (OP/BP 4.01)
- ფიზიკური კულტურული რესურსების უსაფრთხოების პოლიტიკა (OP/BP 4.12)

აღნიშნული უსაფრთხოების პოლიტიკებისა და რეგიონული განვითარების მესამე პროექტის გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, ქვე-პროექტი კლასიფიცირდა B(+) კატეგორიად და მომზადდა გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმა.

2. ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ზედაზენის მონასტერთან (მცხეთის მუნიციპალიტეტი) მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო გზა (სიგრძე 6305 მ) იწყება სოფელ საგურამოში და სრულდება ზედაზენის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ქვე-პროექტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

- მიწის ვაკისის რეაბილიტაცია. მიწის ვაკისის არსებული სიგანე შეადგენს 4,5=6 მეტრს. გზას ორივე მხრიდან მიუყვება 0,5-1.0 მ სიგანის გვერდული. არსებული ვაკისის გაფართოება არ არის დაგეგმილი.

- გზის საფარის რეაბილიტაცია. ქვე-პროექტით გათვალისწინებულია 3 ტიპის საფარის მოწყობა:

  - ბეტონის საფარის მოწყობა სოფელ საგურამო ფარგლებში (პკ0+00 – პკ19+60, 1960 მ);
  - ღორღის საფარის მოწყობა (პკ19+60 – პკ 61+00, 4140 მ);
  - გრანიტის ქვაფენილის მოწყობას, სიგრძით 205 მ. ქვაფენილით გათვალისწინებულია ავტოსადგომის მოწყობა, ავტოსადგომიდან მონასტრის მიმართულებით, ასევე მონასრტის გარშემოვლითი გზის მოწყობა.

- 10 წყალგამტარი მილის დემონტაჟი და ახალი წყალგამტარი მილების მოწყობა;

- 4 ახალი წყალგამტარი მილის მოწყობა;

- 133 მ სიგრძის და 1 მეტრი სიმაღლის რკინაბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა გზის ბოლოს (პკ 61+90-დან);

- ტურისტების უსაფრთხოების მიზნით პკ61+90-დან პკ 62+08-მდე, გზის მარჯვენა მხარეს ლითონის დამცავი ბადის მოწყობა;

- 23 მიერთების მოწყობა ასფალტობეტონის საფარით და 6 მიერთების მოწყობა ღორღოვანი

საფარით, 35 ეზოში შესასვლელის მოწყობა ასფალტობეტონის საფარით და 2 ეზოში შესასვლელის მოწყობა ღორღოვანი საფარით;

- საგზაო ნიშნების მოწყობა და ლითონის ბაგირის შემოღობვის მოწყობა გზის საშიშ მონაკვეთებზე;

- გრანიტის საფარველის მოწყობა მონასტრის მთავარი შესასვლელიდან გვერდით შესასვლელამდე მონასტრის კედლის გასწვრივ (სიგრძე 170 მ, სიგანე 3-4 მეტრი).

3. გარემოს არსებული მდგომარეობა

ზედაზენის მონასტერი მდებარეობს მცხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, არაგვის მარცხენა ნაპირზე, საგუამოს ქედზე. მონასტერი დაარსებული იქნა მეექვსე საუკუნის შუა წლებში სირიიდან საქართველოში ჩამოსული „ასურელ მამათა“ წინამძღვარის - იოანეს მიერ 540 წელს. ზედაზნის მთას, რომელზედაც მდებარეობს მონასტერი, სახელწოდება მიუღია ოდესღაც აქ აღმართული კერპის - ზადენის სახელიდან.

ზედაზენის მონასტერი მდებარეობს თბილისის ეროვნულ პარკში. თუმცა საქართველოს პრეზიდენტის #731 ბრძანებულებით (30 დეკემბერი, 2007) ზედაზენის მონასტრის ტერიტორია და მისი მიმდებარედ არსებული სახელმწიფო ტყის ფონდი (სულ 4.9 ჰა) მიჩენილია საქართველოს საპატრიარქოსთვის 20 წლის ვადით.

ამჟამად სოფელ საურამოდ ზედაზენის გზამდე მიდის გრუნტის გზა, რომელიც ძლიერ არის დაზიანებული. სარეაილიტაციო გზის სიგრძეა 6 305 მეტრი, ხოლო სიგანე მერყეობს 4-დან 6 მეტრამდე.

არსებული საგზაო სამოსი პკ 5+80-მდე წარმოადგენს ასფალტბეტონის ფენილს, რომლის საშუალო სისქე შეადგენს 6-10 სმ-ს. იგი ძლიერ დაზიანებულია. სარეაბილიტაციო მონაკვეთი პკ5+80-დან გრუნტოვანია, საკმაოდ დეფორმირებულია. არსებული წყალგამტარი მილები დაზიანებულია და მოითხოვს გამოცვლას.

სარეაბილიტაციო გზის პირველი მონაკვეთი მდებარეობს სოფელ საგურამოში, მას ორივე მხრიდან ესაზღვრება საცხოვრებელი და სააგარაკო სახლები ეზოებით. გზის მეორე მონაკვეთის ორივე მხარეს მდებარეობს თბილისის ეროვნული პარკი.

თბილისის ეროვნული პარკი დაარსდა 2007 წელს საგურამოს ნაკრძალის ბაზაზე. ეს არის უახლოესი დაცული ტერიტორია თბილისიდან, თუმცა მისი ინფრასტრუქტურა არ არის განვითარებული.

თბილისის ეროვნული პარკის მრავალფეროვანი ფლორა წარმოდგენილია 675 სახეობის ბალახოვანი და მერქნიანი მცენარეული საფარით. ეროვნული პარკის ტყის საფარში ძირითადად გვხვდება - ქართული მუხის, წიფლის, რცხილის, ჩვეულებრივი იფნის, ჯაგრცხილისა და პანტის ტყის ეკოსისტემები. ქვეტყეში გვხვდება: კუნელის, შინდის, ზღმარტლის, ჭანჭყატის, თრიმლის და სხვა დასახელების ბუჩქები. პარკში ხელოვნურად არის გაშენებული ფიჭვნარები და უნიკალური უთხოვრის კორომები. იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობებიდან, თბილისის ეროვნულ პარკში გავრცელებულია: ბზა (*Buxus colchica*), უთხოვარი (*Taxus baccata*), შიშველი თელადუმა (*Ulmus glabra*), პატარა თელადუმა (*Ulmus glabra*), კაკალი (*Juglans regia*), პონტოს მუხა (*Quercus pontica*) და სხვა. თბილისის ეროვნული პარკის დენდროფლორა იმითაც არის საინტერესო, რომ აქ

გავრცელებულია მესამეული პერიოდის კოლხეთის ფლორის წარმომადგენელები: კოლხური ჭყორი, კოლხური და პასტუხოვის სურო, აღმოსავლეთის ძახველი, თაგვისარა, უთხოვარი, კავკასიური დეკა, წყავი და სხვა.

სარეაბილიტაციო გზის გასწვრივ იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების არც ერთი ეგზემპლიარი არ გვხვდება, გარდა კაკლის რამდენიმე ხისა სოფელ საგურამოს ტერიტორიაზე.

თბილისის ეროვნულ პარკში ძუძუმწოვრებიდან გავრცელებულია: მელა, მგელი, შველი, კურდღელი, ტყის კვერნა და სინდიოფალა. დიდი მტაცებლებიდან მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი ფოცხვერი და მურა დათვი. ადრე საგურამოს ნაკრძალი კავკასიური კეთილშობილი ირმის პოპულაციით იყო განთქმული. თბილისის ეროვნული პარკში შეხვდებით ორნითოფაუნის სხვადასხვა წარმომადგენლებს: ჩხიკვს, შაშვს და რამდენიმე სახის კოდალას. მტაცებელი ფრინველებიდან პარკში გავრცელებულია მიმინოს სახეობა. პარკის ტერიტორიაზე ქვეწარმავალის 12 სახეობა გვხვდება. მათგან ყველაზე გავრცელებული გველხოკერაა.

სარეაბილიტაციოს გზის გასწვრივ არსად არ გვხვდება გარეული ცხოველების ბუნაგი და სორო, ზოოლოგიური შეფასების დროს არ გამოვლენილა ფაუნის არც ერთი სახეობა, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია ავტოტრანსპორტისა და ფეხითმოსიარულე ტურისტების ხშირი მოძრაობით ზედაზნის მონასტრის მიმართულებით.

4. პოტენციური ზეგავლენის ანალიზი

4.1 სამშენებლო ფაზა

4.1.1 სოციალური ზეგავლენა

- <u>სოციალური საკითხების ზოგადი მომიხილვა:</u> სოციალურ გარემოზე ისეთი მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.
- <u>განსახლების საკითები:</u> ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესყიდვას, არ არის მოსალოდნელი პერმანენტული ანდ დროებითი ზეგავლენა კერძო ან იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, კერძო საკუთრებაზე ან ბიზნესზე.
- <u>დასაქმების შესაძლებლობის შექმნა:</u> მშენებლობისა და მცირე ოპერირების ფაზაში მოსალოდნელია შეზღუდული და დროებითი დადებითი ზეგავლენა.
- <u>ხმაურთან, გამონაბოლქვთან და ვიბრაციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საკითხები:</u> შეზღუდული და დროებითი.
- <u>სატრანსპორტო მოძრაობის დარღვევა:</u> ქვე-პროექტთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობების შედეგად, დროებით შეიზღუდება ადგილობრივი სატრანსპორტო მოძრაობა.
- <u>უსაფრთხოება და წვდომა:</u> ქვე-პროექტის ფარგლებში სამუშაოების მიმდინარეობისას შეიზღუდება სარეაბილიტაციო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიებზე მისასვლელი, თუმცა საფრთხე არ ემუქრება არც ტრანსპორტის მოძრაობას და არც ფეხით მოსიარულეების უსაფრთხოებას.

4.1.2. კულტურულ მემკვიდრეობაზე ფიზიკური ზეგავლენა

ქვე-პროექტით გათვალისწინებულია ავტოსადგომის მოწყობა ზედაზენის მონასტერთან,

ასევე გრანიტის ქვაფენილის მოწყობა გზის მონაკვეთზე ავტოსადგომიდან ზედაზენი მონასტრამდე და მონასტრის მთავარი შესასვლელიდან გვერდით შესასვლელამდე, გალავნის გასწვრივ.

ქვე-პროექტი არ მოიცავს რაიმე სამუშაოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე. შესაბამისად ზედაზენის მონასტერის სტრუქტურულ მთლიანობაზე ან ისტორიულ ღირებულებაზე ზეგავლენის რისკი არის მინიმალური.

არქეოლოგიური ობიექტების აღმოჩენის შანსი მინიმალურია. მიუხედავად ამისა, ქვე-პროექტის ფარგლებში მიწის სამუშაოები უნდა განხორციელდეს არქეოლოგის მეთვალყურეობით. თუ მშენებელი კონტრაქტორი სამუშაოების წარმოებისას აღმოაჩენს არქეოლოგიურ მასალას, აუყონებლივ უნდა აცნობოს მუნიციპალური განვითარების ფონდს დ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და მიიღოს ინსტრუქცია შემდგომი ქმედებების შესახებ. კონტრაქტორმა არ უნდა განაახლოს სამუშაოები სანამ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო არ მისცეს თანხმობას, რომ განხორციელდა ყველა შესაბამისი ღონისძიება არქეოლოგიური მემკვიდრეობის ძეგლის კონსერვაციისთვის.

4.1.3 გარემოზე ზეგავლენა

წყლისა და ნიადაგის დაბინძურება

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოებით წყლისა და ნიადაგის დაბინძურების პოტენციური წყაროები შეიძლება იყოს:

- დიზელის საწვავი, ზეთები, სამუხრუჭე სითხე, ანტიფრიზი (დაღვრა/გაჟონვა მანქანა/დანადგარებიდან);
- ცემენტი, ბეტონი და სხვა დამაბინძურებლები;
- სამშენებლო ნარჩენები (შესაფუთი მასალები, ქვები, ხრეში, ცემენტის, ბეტონის, ხის და სხვა მასალების ნარჩენები).

წყლების დაბინძურება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა წყაროებიდან:

- საწვავის, ზეთების ან სხვა სახიფათო ნივთიერებების დაღვრა, განსაკუთრებით საწვავით გამართვის ან მანქანა-დანადგარების შეკეთების სამუშაოების დროს;
- ექსკავაციის შედეგად წარმოქმნილი შლამიანი წყლებით;
- სანიაღვრე წყლებში არსებული შლამით;
- მანქანა-დანაგარების გარეცხვისას;
- დაბინძურებული მიწის ან გრუნტის წყლების ზემოქმედებით;
- ზედაპირულ და/ან გრუნტის წყლებზე ქლორის შემცველი ნარჩენი წყლით, რომელიც წარმოიქმნება ახლად დამონტაჟებული წყალმომარაგების სისტემის დეზინფექციის შედეგად.

მოსალოდნელია დაღვრების სწრაფი ჩადინება წყლის ობიექტებში, რის შემდეგაც ძნელი იქნება დაბინძურების ლოკალიზება, და გაიზრდება ქვემო დინებაში უფრო დიდი ფართობის დაბინძურების რისკი. ამიტომ მნიშვნელოვანია ლოკალიზების ღონისძიებების დაუყონებლივ გატარება წყლის დაბინძურების რისკის წარმოქმნის შემთხვევაში.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის შემდგომ გაშიშვლებული გრუნტი წვიმიან ამინდში

შეიძლება ჩაირეცხოს სამუშაოების განხორციელების ადგილიდან.

ჰაერის დაბინძურება და ხმაური

ჰაერის დაბინძურების სავარაუდო ზეგავლენა მცირეა. ჰაერის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს მანქანა-დანადგარების მოძრაობამ/მუშაობამ ქვე-პროექტის ტერიტორიაზე და მასალების/ნარჩენების ტრანსპორტირებისას. ზემოქმედების წყაროები შეიძლება იყოს:

- მძიმე ტექნიკის მუშაობით გამოწვეული ხმაური და ვიბრაცია;
- გამონაბოლქვი (სატრანსპორტო საშუალებებიდან, ბულდოზერებისაგან, ექსკავატორებისაგან);
- მტვერი;
- მასალების მოწოდების/ტრასპორტირების შედეგად წარმოქნილი გამონაბოლქვი.

ინერტული სამშენებლო ნარჩენები

სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელია შემდეგი სახის ინერტული სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა:

- არსებული გზის საფარისა და წყალგამტარი მილების დაშლის შედეგად წარმოქნილი ინერტული ნარჩენები, როგორიცაა ზედმეტი გრუნტი, ქვები, ბეტონი და ლითონი;
- არასახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ნიადაგი;
- შესაფუთი მასალები.

ადგილობრივი სამშენებლო კოპმანიების მიერ ინერტული ნარჩენების მართვის ცუდი პრაქტიკის გამო, მაღალია ინერტული ნარჩენების ტყით დაფარულ ფერდობებზე ჩაყრის რისკი. ფერდობზე ჩაყრილი ინერტული ნარჩენებისაგან ტერიტორიის გაწმენდი შესაძლებლობა ძალიან შეზღუდულია, განსაკუთრებით, როცა სამუშაოები სრულდება ტყით დაფარული ფერდობების მიმდებარედ. შესაბამისად, ინერტული ნარჩენების არაკანონიერი განთავსების პრევენცია არის მნიშვნელოვანი, რათა თავიდან იქნეს აცილებული გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება ქვე-პროექტის დასრულების შემდგომ.

სახიფათო სამშენებლო ნარჩენები

მოსალოდნელია მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მანქანა-დანადგარების ტექნიკური მომსახურების სამუშაოების შედეგად, როგორიცაა:

- თხევადი საწვავი;
- ზეთები, ჰიდრავლიკური სითხე;
- ქიმიურ ნივთიერებების, მაგ. ანტიფრიზი;
- დაბინძურებული ნიადაგი;
- გაჟონვის საწინააღმდეგო მასალები, რომლებიც გამოყენებული იქნა ზეთისა და

ქიმიური ნივთიერებების შესაწოვად;
- მანქანის/ძრავის ფილტრის კარტრიჯები;
- ზეთიანი ტილოები, ნახმარი ფილტრები, დაბინძურებული ნიადაგი და ა.შ.

ტრანსპორტთან დაკავშირებული ზეგავლენა

შესაძლოა ადგილი იქნეს შემდეგი სახის ზეგავლენებს:

- ხმაურის და ვიბრაციის გაზრდა;
- სატრანსპორტო საცობების წარმოქმნა,
- ჰაერის დაბინძურება გამონაბოლქვით,
- გზების ატალახება;
- ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან ტექნიკური მომსახურების დროს დაბინძურება.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაკარგვა მისი მოჭრის გამო

ნიადაგის საფარის ზედა ფენის დანაკარგებს მისი მოჭრის შედეგად შეიძლება ადგილი ექნეს მისი არასწორის შენახვისა და რეკულტივაციის შედეგად გადარეცხვის გამო.

ლანდშაფტი, მცენარეული საფარი და ფაუნა

სარეაბილიტაციო გზის ძირითად ნაწილს ორივე მხრიდან ესაზღვრება თბილისის ეროვნული პარკის ტყის ჰაბიტატები. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება დაცული ტერიტორიის მიმდებარედ წარმოქმნის დაცული ტერიტორიის დაზიანების და ფაუნის სახეობების შეშფოტების რისკებს.

ქვე-პროექტის ფარგლებში არ მოხდება არსებული გზის კონტურის ცვლილება, რაც განაპირობებს გზის გასწვრივ არსებული მერქნიანი მცენარეული საფარის სრულ შენარჩუნებას. გზის რეაბილიტაციის პროექტით არ არის დაგეგმილი მერქნიანი სახეობების მოჭრა. მშენებლობის პროცესში შეიძლება მოიჭრას მხოლოდ ერთწლიანი ბუჩქოვანი მცენარეების ტოტები ხედვის არეალის გაუმჯობესების მიზნით.

ბოტანიკური და ზოოლოგიური შესწავლების დროს სარეაბილიტაციო გზის გასწვრივ არ გამოვლენილა წითელ ნუსხაში შეტანილი ფლორისა და ფაუნის სახეობები, ან ცხოველთა სოროები, რაც გამოწვეული უნდა იყოს ზედაზენი მიმართულებით ავტომობილებისა და ტურისტების ინტენსიური მოძრაობით.

4.2 ოპერირების ფაზა

ტურისტული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პოტეციური ზეგავლენა შესაძლებელია იყოს შემდეგი:

- ტურისტების გაზრდილი ნაკადის გამო ნარჩენების წარმოქმნისა და ხმაურის გაზრდა;
- სატრანსპორტო მოძრაობის გაზრდა, რის გამოც შესაძლოა გაიზარდოს გამონაბოლქვი და ხმაური, ასევე წარმოიქმნას უსაფრთხოების პრობლემა.

დადებითი სოციალური ზეგავლენა უკავშირდება რაიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის გაზრდას, რასაც დასაქმების მხრივ დადებითი გავლენა ექნება ადგილობრივი მოსახლეობაზე.

5. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ასევე კულტურულ მემკვიდრეობაზე, მოსალოდნელი ზეგავლენის გათვალისწინებით მომზადდა გარემოზე ზემოქმედებისმართვის გეგმა. გარემოსდაცვითი მიმოხილვა და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა არის კონტრაქტის ნაწილი და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხორციელება სავალდებულოა კონტრაქტორისათვის.

კონტრაქტორს მოეთხოვება:

1. სამშენებლო მასალის შეძენა მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლისგან.

2. თუ კონტრაქტორს სურვილი აქვს მასალა მოიპოვოს კარიერიდან ან მდინარის კალაპოტიდან (ვიდრე ეს მასალები შეისყიდოს სხვა მომწოდებლისგან), მაშინ მან ინერტული მასალების ამოღებაზე უნდა მოიპოვოს ლიცენზია.

3. თუ კონტრაქტორს სურს ამუშაოს თავისი ასფალტის ქარხანა (ვიდრე შეისყიდოს ეს მასალა სხვა მომწოდებლისგან) ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოიპოვოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

4. თუ კონტრაქტორს სურს აამუშაოს საკუთარი ბეტონის ქარხანა (ვიდრე შეისყიდოს ეს მასალა სხვა მომწოდებლისგან) ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს აღწერის ტექნიკური ანგარიში და შეათანხმოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.

5. სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგასაყრელზე (სოფელ კავთისხევში ან ავჭალის ნაგავსაყრელზე) წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. უნდა მოხდეს ნარჩენების განთავსების თაობაზე ჩანაწერების წარმოება, როგორც სათანადო მართვის დამამტკიცებელი საბუთი.

6. თუ კონტრაქტორს სამუშაოების შედეგად წარმოექმნება 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან ნებისმიერი ოდენობით სახიფათო ნარჩენი წლის განმავლობაში, მომზადებული უნდა იქნეს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარედგინოს დასამტკიცებლად კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა, დანიშნული უნდა იქნეს გარემოსდაცვითი მმართველი და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარედგინოს ინფორმაცია მის შესახებ „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად.

მანქანა-მექანიზმების გადაადგილება უნდა მოხდეს მხოლოდ წინასწარ შეთანხმებულ მარშრუტზე. შეზღუდული უნდა იქნებს მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე.

აკრძალულია სახიფათო ნარჩენების უკონტროლო განთავსება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილზე. სამშენებლო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენები ქვე-პროექტს ტერიტორიიდან გატანილი უნდა იქნეს ყოველდღიურად. მკაცრადაა აკრძალული ზედმეტის მიწის, ქვების, მოჭრილი მცენარეულობის ჩაყრა გზის მიმდებარე ფერდობებზე.

მობილიზაციის ეტაპზე უნდა ჩატარდეს ყველა დასაქმებული ტრენინგი მაღალი სენსიტიურობის ადგილზე მუშაობის წესებთან დაკავშირებით.

გზის გასწვრივ დიდი ხეები უნდა მოინიშნოს და თავიდან იქნეს აცილებული მათი დაზიანება.

არქეოლოგიური ობიეატის აღმოჩენის შემთხვევაში სამუშაოები უნდა შეჩერდეს დაუყონებლივ. სამუშაოების განახლება უნდა მოხდეს მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ შესაბამისი ნებართვის გაცემის შემდგომ.

გარემოზე ზემოქმედების შერბილების გეგმა

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
წინა-სამშენებლო ფაზა			
ზოგადი პირობები	საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შეუსრულებლობა	კონტრაქტორის მიერ მოპოვებული უნდა იქნეს შემდეგი ნებართვები/ლიცენზიები და მათი ასლები წარმოდგენილი უნდა იქნეს მგფ-ში: - შეთანხმება ნარჩენი გრუნტის განთავსების ადგილზე; - ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზია; - ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების ნებართვა; - გარემოზე ზემოქმედების ნებართვა იმ სამშენებლო მასალების წარმოებაზე, რომელიც განეკუთვნება ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას; - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში, რომლიც შეთანხმებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან; - შეთანხმება საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების განთავსებაზე უახლოეს ნაგავსაყრელზე.	მშენებელი კონტრაქტორი
დასახლებულ ტერიტორიაზე ან მის სიახლოვეს სამუშაოების ორგანიზება	მსოფლიო ბანკისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსრულებლობა	კონტრაქტორმა სამშენებლო ტერიტორიაზე უნდა განათავსოს საინფორმაციო ბანერი. ბანერზე განთავსებული უნდა იქნეს ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ მგფ-ში, ზედამხედველ კომპანიასა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, რომელსაც ადგილობრივმა მოსახლეობამ შესაძლოა მიმართოს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით საჩივრის არსებობის შემთხვევაში. ბანერი დამზადებული უნდა იყოს ამინდის უარყოფითი პირობებისადმი გამძლე მასალისაგან. ბანერზე წარწერები განთავსებული უნდა იქნეს ქართულ და ინგლისურ ენებზე.	მშენებელი კონტრაქტორი,
გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების	ქართული კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან	- ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვაზე და EMP-ის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა - მუშახელის ტრეინინგი ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებზე	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
ორგანიზება	შეუსაბამობა, მნიშვნელოვანი უარყოფითიზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე	- გარემოზე ზემოქმედების შესარბილებლად საჭირო აღჭურვილობის უზრუნველყოფა	
მშენებლობის ფაზა			
სამშენებლო სამუშაოები, მათ შორის: - ობიექტის ტერიტორიის მომზადება - მიწის სამუშაოები - დროებითი ნაგებობების მოწყობა - სამშენებლო ტექნიკის ექსპლოატაცია - სატრანსპორტო ოპერაციები	ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება	- მანქანა-დანადგარები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში, რომ არ მოხდეს მუშა-ხელისა და ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხება გამონაბოლქვით. უნდა განხორციელდეს მანქანა-დანადგარების რეგულარული ტექნიკური მომსახურება, გაუმართაობის გამო გამონაბოლქვის გაზრდის თავიდან ასაცილებლად. - დიზელის ძრავები რეგულარულად უნდა შემოწმდეს და შეკეთდეს ემისიების მინიმაზიის მიზნით. ყველა მანქანა-დანადგარი ასევე უნდა შეკეთდეს საჭიროებისამებრ, რათა უზრუნველყოფილი იყო მათი გამართული მუშაობა და პოტენციური ემისიების თავიდან აცილება; - სატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვა უნდა მოხდეს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ემისიები (საწვავის შენახვისათვის არ უნდა იქნეს გამოყენებული ღია ავზები); - მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დახურული ტრანსპორტით მტვერის წარმოქნის შემცირების მიზნით. სამშენებლო ტერიტორია უნდა მოირწყას საჭიროებისამებრ; მუშები აღჭურვილი უნდა იქნენ პერსონალური დაცვის საშუალებებით; - დემონტაჟის სამუშაოების დროს ტერიტორია უნდა დატენიანდეს ან დამონტაჟდეს მტვრის შემაკავებლები;	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		- გარემო (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს წარმოქმნილი ნამსხვრევებისაგან; - მიწის სამუშაოები უნდა შეჩერდეს ძლიერი ქარის დროს; - სამშენებლო მასალები და ყრილები უნდა იქნეს გადახურული; - მოჭრილი/ამოღებული გრუნტი უნდა იქნეს დასაწყობებული შესაბამისად; - აკრძალულია სამშენებლო მასალების ან ნარჩენების დაწვა, - აკრძალულია მანქანების და მძიმე ტექნიკის დაუტვირთავი მუშაობა. - ტერიტორიის რეკულტივაცია უნდა მოხდეს სამუშაოების დასრულებისთანავე.	
	ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება	- მასალების გადაზიდვისას ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარე უნდა იქნეს შეზღუდული დასახლებულ ადგილებში უსაფრთხო დონემდე; - უნდა განხორციელდეს მანქანა-დანადგარების პერიოდული ტექნიკური კონტროლი და შეკეთება საჭიროებისამებრ; - სატრანსპორტო ოპერაციები უნდა განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში - ტექნიკის უქმი სვლა არ უნდა იყოს ნებადართული. გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი მაყუჩები; - უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მანქანა-დანადგარების გამართული მუშაობა.	მშენებელი კონტრაქტორი
	ნიადაგის საფარის დაზიანება	- სამშენებლო ტერიტორია და მისასვლელი გზები უნდა იქნეს მონიშნული სამუშაოების დაწყებამდე; - სამუშაო ტერიტორიის საზღვრები უნდა იქნეს დაცული სამუშაოების განხორციელების დროს; - სამუშაო უბნებიდან ნიადაგის საფარის მოხსნა (შეძლებისდაგვარად) და დასაწყობება შემდგომი გამოყენების მიზნით უნდა მოხდეს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (2014) მოთხოვნების შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება უნდა მოხდეს არაუმეტეს 2 მეტრი სიმაღლის გროვებად, რომლის გვერდის დახრილობის კუთხე არ აღემატება 45^0-ს. ნიადაგის დასაწყობების ადგილის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		შემდეგი: • დასაწყობების ადგილი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ არ მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ჩამოშლა, დატკეპვნა ტექნიკის მოძრაობის შედეგად, ასევე დაბინძურება სხვა მასალებით. • ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყოფილი უნდა იქნეს გრუნტისაგან (ნიადაგის ქვედა ფენისაგან); • ნიადაგის დასაწყობება უნდა მოხდეს ისე, რომ არ იყოს წყლით წარეცხვის/დატბორვის საფრთხე; • დაუშვებელია ნიადაგის დასაწყობება მდინარიდან/წყლის ნაკადებიდან 25 მეტრზე ნაკლებ მანძილზე, ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიის თავისებურების გათვალისწინებით; - დაუშვებელია ნიადაგის საფარის მოხსნა ძლიერი წვიმის დროს; - დასაწყობებული ნიადაგი გამოყენებული უნდა იქნეს ქვე-პროექტის ტერიტორიის რეკულტივაციისათვის სამუშაოების დასრულებისთანავე. საჭიროებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს მიწის საფარის მოსწორება, რეკულტივაცია, და ბუნებრივი მცენარეული საფარის სწრაფად აღდგენის ღონისძიებების განხორციელება. - საჭიროების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს დასაწყობებული ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები, როგორიცაა ეროზიის საწინააღმდეგო საფარის მოწყობა, ზედაპირის დატკეპნა და/ან დაგრუნტვა. დასაწყობებული ნიადაგი დაცული უნდა იქნეს წყლის ნაკადით ჩარეცხვისაგან ბერმების ან მისი ექვივალენტის მოწყობით გროვების ირგვლივ, საჭიროებისამებრ. - დასაწყობებული ნიადაგი გამოყენებული უნდა იქნეს ტერიტორიის რეკულტივაციისათვის სამუშაოების დასრულებისთანავე. გრუნტის ქვედა ფენის დასაწყობება უნდა მოხდეს არა უმეტეს 3 მ სიმაღლის გროვებად, რომელთა გვერდების დახრილობის კუთხე არ აღემატება 60^0-ს. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი: - დასაწყობების ადგილი იმგვარად უნდა იქნეს შერჩეული, რომ არ მოხდეს მისი დატკეპვნა ტექნიკის მოძროაბის შედეგად ან დაბინძურება სხვა	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		მასალებით; - გრუნტი გამოყოფილი უნდა იქნეს ნიადაგის ნაყოფიერი ფენისაგან.	
	წყლისა და ნიადაგის დაბინძურება	- პერსონალის უზრუნველყოფა ტუალეტებითა და აბაზანებით და წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ცენტრალიზებული ჩაშვება საკანალიზაციო სისტემაში, თუ ეს შესაძლებელია ან დროებითი ნაგებობების მოწყობა - ტექნიკის გამართულობის უზრუნველყოფა - ტექნიკის საწვავით გამართვა მხოლოდ სათანადოდ აღჭურვილი საწვავმზიდებით, ამასთან სავალდებულოა წყვეთშემკრებების გამოყენება - ტექნიკის საწვავით გამართვა და ტექ. მომსახურება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ უბანზე, სადაც მოხსნილია ნიადაგი და მოწყობილია ხრეშოვანი საფარი, ზეთები, საწვავი და გამხსნელები დასაწყობებული უნდა იქნეს მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, საწვავის, ზეთებისა და გამხსნელების დასაწყობება არ უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის ადგილის სიახლოვეს; - უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამშენებლო მასალების სათანადოდ დასაწყობება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; - სახიფათო ან ტოქსიკური მასალები დროებით განტავსებული უნდა იქნეს უსაფრთოხ კონტენერებში შესაბამისი წარწერით (შემადგენლობა და მოპყრობის პირობები). სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი); - უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დაღვრის დაუყონებლივ გაწმენდა, დაბინძურებული ნიადაგის/ გრუნტის ტერიტორიიდან გატანა; - არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა/ჩაყრა ნებისმიერ წყლის ობიექტში. - სამუშაოების დასრულებისთანავე უნდა მოხდეს ტერიტორიის გაწმენდა სამშენებლო ნარჩენებისგან.	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
	გარემოს დაბინძურება მყარი და თხევადი ნარჩენებით	- აკრძალულია ნარჩენების დაწვა; - არ უნდა იქნეს გამოყენებული ტოქსიკური ინგრედიენტების შემცველი ხსნარები ან ტყვია შემცველი საღებავები; - სხვადასხვა სახის ნარჩენები (სახიფათო, სამშენებლო, საყოფაცხოვრებო) უნდა შეგროვდეს სეპარირებულად. ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის უნდა იქნეს გამოყოფილი სპეციალური ადგილი და განხორციელდეს დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები; - ინერტული ნარჩენები და ჭარბი გრუნტი უნდა განთავსდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე ან უახლოეს ნაგავსაყრელზე (სოფლე კავთისხევში ან ავჭალის ნაგავსაყრელზე; - სახიფათო და ტოქსიკური ნარჩენები უნდა განთავსდეს უსაფრთხო კონტეინერებში, რომლებზეც მითითებული იქნება მათი შემადგენლობა და მოპყრობის პირობები; აკრძალულია სახიფათო ნარჩენების უკონტროლო განთავსება სამშენებლო ტერიტორიაზე. სახიფათო ნარჩენები უნდა მოთავსდეს გაჟონვისაგან დაცულ კონტეინერში რათა თავიდან იქნას აცილებული დაღვრა და გაჟონვები; სახიფათო ნარჩენების გადაცემა უნდა მოხდეს ასეთი ნარჩენების მართვაზე ლიცენზიის მქონე კომპანიისთვის, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე; - ნებისმიერი სახის სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენი ტერიტორიიდან გატანილი უნდა იქნეს ხშირად; - ნარჩენების განკარგვის შესახებ უნდა იწარმოებოდეს დოკუმენტაცია, რათა უზრუნველყოფილი იქნას მისი სათანადოდ განკარგვის მტკიცებულება.	მშენებელი კონტრაქტორი
	მცენარეული საფარის დაზიანება	- მრავალწლოვანი ხეები, განსაკუთრებით საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი კაკლის ხეები, გზის გასწვრივ უნდა იქნას დაცული მოჭრისაგან ან შემთხვევითი დაზიანებისაგან; - ყველა მუშას მკაცრად ეკრძალება მცენარეების მოპოვება, ნაგვის დაყრა, ნადირობა ან სხვა, საზიანო საქმიანობები მიმდებარე დაცულ ტერიტორიებზე. - დაცული ტერიტორიის ფარგლებში არ უნდა მოხდეს ინერტული	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		მასალების მოპოვება ან ნარჩენების განთავსება.	
	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე	- ტექნიკის მოძრაობის სიჩქარე უნდა იქნას შეზღუდული - ტექნიკის გადაადგილება მოხდეს მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით - ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირე უნდა იქნას შეზღუდული	მშენებელი კონტრაქტორი
	მოსახლეობის და პერსონალის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები	სამშენებლო ადგილი უნდა იქნეს სათანადოდ დაცული და მშენებლობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობის დარეგულირებული. ეს მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ ღონისძიებებს: - გზის მაჩვენებლების, გამაფრთხილებელი ნიშნების, ბარიერების განთავსებას. სამშენებლო ტერიტორია იქნება მკაფიოდ შესამჩნევი, ხოლო პოტენციური რისკების შესახებ მოხდება საზოგადოების გაფრთხილება. - სამშენებლო ადგილები და ყველა თხრილი უნდა იქნეს შემოღობილი და სათანადოდ დაცული უნებართვო შესვლისაგან, განსაკუთრებით ბავშვებისთვის; - უნდა მოეწყოს სათანადო განათება და განთავსდეს უსაფრთხოების ნიშნები; მოხდება სამუშაო საათების ადგილობრივ სატრანსპორტო მოძრაობის სქემასთან მორგება, მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში ან პირუტყვის გადაადგილების დროს. - ტექნიკის მოძრაობის სიჩქარე უნდა იქნას შეზღუდული - ტექნიკის გადაადგილება მოხდეს მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
	კერძო საკუთრებაში არსებული ქონების დაზიანება	- ტექნიკის გადაადგილება მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით - ტექნიკის მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა - მიყენებული ზიანი სრულად უნდა იქნეს ანაზღაურებული კონტრაქტორის მიერ	მშენებელი კონტრაქტორი
	კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან ან სხვა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან	- მოსახლეობასთან შეხვედრა (საჭიროების შემთხვევაში) - საჩივრების მიღება და მათზე რეაგირება	მშენებელი კონტრაქტორი
	პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები	- სამუშაოების დაწყებამდე მუშახელის ინფორმირება მოსალოდნელი რისკების შესახებ და ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით, ზემოხსენებული უზრუნველყოფილი უნდა იქნას სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე და მათი მსვლელობისას - პერსონალის საჭირო პირადი დაცვის საშუალებების (მაგ, ჩაფხუტები, ხელთათმანები, სხვა) მომარაგება და მათი სწორედ გამოყენება - ტექნიკის ექსპლოატაციისას უსაფრთხოების უზრუნველყოფა - გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება მაღლი რისკის უბნებზე - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურის ზემოქმედების შესამცირებლად რეკომენდირებული ღონისძიებების გატარება	Construction contractor
	ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე	- ტერიტორიის დასუფთავება და რეკულტივაცია სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე - სამუშაოების შეჩერება მიწის სამუშაოებისას არქეოლოგიური ობიექტის ან არტეფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება აღმოჩენის შესახებ და საქმიანობის განახლება მხოლოდ სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ	მგფ, მშენებელი კონტრაქტორი
ექსპლუატაციის ფაზა			

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
რეაბილიტირებული გზის მოვალ-პატრონობა	წყლისა და ნიადაგის დაბინძურება; ნარჩენების წარმოქმნა; ეროვნული პარკის ჰაბიტატების დაზიანება; ფაუნის სახეობების შეშფოთება	- გზის მოვლა-პატრონობის სამუშაოების შეთანხმება თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან; - გზის მიმდებარე ფერდობებზე ზედმეტი გრუნტისა და სხვა სახის ინერტული ნარჩენების ჩაყრის თავიდან აცილება.	მცხეთის მუნიციპალიტეტი

6. გარემოსდაცვითი მონიტორინგი

მუნიციპალური განვითარების ფონდი პასუხისმგებელია განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების მონიტორინგი. საკონსულტაციო კომპანია, რომელიც დაქირავებულია, როგორც სამუშაოების ზედამხედველი, ასევე დაეხმარება მგფ-ს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ქვე-პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების გარემოსდაცვითი და სოციალური შესაბამისობა. ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგი განხორციელდება ქვემოთ მოცემული გეგმის შესაბამისად.

გარემოზე ზემოქმედების გეგმის განხორციელების თაობაზე ანგარიში წარმოდგენილი იქნება მგფ-ის ყოველკვარტალურ ანგარიშებში. მგფ ასევე უზრუნველყოფს კონტრაქტორისაგან ყველა ნებართვის, ლიცენზიებისა და შეთანხმების წერილების ასლების მიღებას და შენახვას, რომლებიც კონტრაქტორს მოეთხოვება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ინერტული მასალების მოპოვებისათვის, ასფალტის ქარხნის ოპერირებისათვის, სხვადასხვა სახის ნარჩენების განთავსებისათვის.

7. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის დარღვევის გამოსწორება

მგფ, როგორც სამშენებლო სამუშაოების დამკვეთი, პასუხისმგებელი იქნება კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე, რაც ასევე მოიცავს გმგ შესრულებას.

კონტრაქტორი პასუხისმგებელია საქმიანობა განახორციელოს საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე წინამდებარე დოკუმენტით განსაზღრული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებაზე. შეუსაბამობების გამოვლენის შემთხვევაში კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება დაფაროს გარემოსთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

8. განხორციელების ღირებულება

გარემოსდაცვითი მართვის გეგმით შემოთავაზებული ინდივიდუალური შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების ხარჯები მცირეა და შესაბამისად, რთულია მათი გამოცალკევება სამშენებლო ოპერაციების ხარჯებიდან. მიუხედავად ამისა, რეკომენდირებულია, რომ მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალი, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციაში არის მოცემული შეიცავდეს ნარჩენებისა და დარჩენილი მასალის განკარგვის პუნქტს. გარემოსდაცვით პრინციპებთან შესატყვისობისათვის საჭირო სხვა ხარჯები სავარაუდოდ სხვადასხვა სამშენებლო საქმიანობის ფასებში უნდა იქნას ინტეგრირებული.

9. საჩივრების გადაჭრის მექანიზმი

საჩივრების განმხილველი კომისია ჩამოყალიბდება მუნიციპალურ დონეზე. იმ შემთხვევაში თუ საჩივარი არ გადაიჭრება ადგილობრივ დონეზე, მისი გადამისამართება მოხდება სსიპ „ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში“. საჩივრების მონიტორინგის მიზნით, მუნიციპალური განვითარების ფონდი მოახდენს რეგისტრაციას ყველა საჩივრის, კომენტარის და ასევე, როგორ მოხდა საჩივრის გადაწყვეტა. საჯარო კონსულტაციის ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობას ინფორმაცია მიეწოდება განხილულ საკითხთან დაკავშირებით და საკონტაქტო პირის შესახებ.

8.მონიტორინგის გეგმა

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შემენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლიას ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირეისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
ინერტული მასალების წყარო	მასალების შეძენა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება; მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა	მოპოვების ადგილებში	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია; სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტთა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	წყლის ნაკადში.					
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი,
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრასპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ოპერირების ფაზა						
რეაბილიტირებული გზის მოვლა-პატრონობა	საგზაო ნიშნების შენარჩუნება მოძრაობის	გზის მონაკვეთი, სადაც მიმიდნარეობს	შემოწმება	შეკეთების სამუშაოების წარმოების დროს	საგზაო შემთხვევებისა და მოძრაობის შეფერხების	მცხეთის მუნიციპალიტეტი, ეროვნული პარკის

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	უზრუნველყოფის მიზნით; რეაბილიტაციისსამუშაოების დროს გზის შესაბამისი მონაკვეთის მონიშვნა; რეაბილიტაციის დროს წარმოქმნილი ნარჩენების განთავსება ნაგავსაყრელზე	შეკეთების სამუშაოები			პრევენცია	ადმინისტრაცია

დანართი 1. ორთოფოტო, არსებული მდგომარეობის ამსახველი სურათები



დანართი 2. საჯარო განხილვის ოქმი

2017 წლის 19 დეკემბერი
მცხეთის მუნიციპალიტეტი

შეხვედრის ოქმი
რეგიონალური განვითარების მესამე პროექტი (RDP III)
ზედაზენის მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ავტოსადგომის მოწყობა

საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა გარემოსდაცვითი მიმოხილვის ანგარიშისა და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხილვის მიზნით

2017 წლის 19 დეკემბერს 12:00 საათზე, სოფელ საგურამოს (მცხეთის მუნიციპალიტეტი) ახალგაზრდული ცენტრის შენობაში გაიმართა ქვე-პროექტის **ზედაზნის მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ავტოსადგომის მოწყობა“** გარემოსდაცვითი მიმოხილვის ანგარიშის და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა.

შეხვედრის მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ქვე-პროექტთან დაკავშირებით დაგეგმილი საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებისა და მათი თავიდან აცილების გზების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა მელაძე, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, თბილისის ეროვნული პარკი;
2. თორნიკე სესენაიშვილი, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, თბილისის ეროვნული პარკი;
3. მერაბ მახარაშვილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია;
4. ბადრი უნდილაშვილი, მცხეთა, სოფელი საგურამო;
5. გიორგი თევდორაშვილი, თბილისი, ცინცაძის 7;
6. ანზორ ჯავახიშვილი, სოფელი საგურამო;
7. ბიჭიკო შოთნიაშვილი, სოფელი საგურამო;
8. ელგუჯა უნდილაშვილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული;
9. ნიკოლოზ გარაშვილი, სოფელი საგურამო;
10. სულიკო უნდილაშვილი, სოფელი საგურამო;
11. თამაზ ბიჩნიგაური, სოფელი საგურამო;
12. გელა უნდილაშვილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი საგურამოს ადმინისტრაციულ ერთეულში;
13. მამა გაბრიელ ოტიაშვილი, ზედაზენის მონასტერის წინამძღვარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

1. ნინიკო ისაკაძე - გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახური,
2. ნუცა გუმბერიძე - გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახური,
3. გიორგი მიქელაძე - პროექტის მენეჯერი (RDP 3) (დონორებთან ურთიერთობისა და პროექტის მართვის სამსახური);
5. ვასილ ფეხმაშვილი - პროექტების შეფასების სამსახური.

შეხვედრა გახსნა გიორგი მიქელაძემ, რომელმაც დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია მგფ-ს შესახებ, გააცნო შეხვედრის მიზანი, ქვე-პროექტის ძირითადი მიზნები და ქვე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები.
ნინიკო ისაკაძემ პრეზენტაციის სახით წარმოადგინა ქვე-პროექტის ფარგლებში მომზადებული სოციალური და გარემოსდაცვითი მიმოხილვა. მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული პროექტებისათვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებებისას მოსალოდნელი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა არსებულ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან აცილების ან შერბილებისთვის. აღნიშნა, რომ პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას, ამიტომ ყველა პროცედურა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხორციელდება მსოფლიო ბანკის შესაბამის უსაფრთხოების პოლიტიკისა და რეგიონული განვითარების პროექტისთვის მომზადებული სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად.
ნ. ისაკაძემ ისაუბრა გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტის შინაარსსა და სტრუქტურაზე. მან აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება უზრუნველყოს დოკუმენტით განსაზღვრული, სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენის, შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება. ასევე, მიმოიხილა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგის და შესაბამისი ანგარიშგების პროცედურები და ამ პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი მხარეები.

ნ.ისაკაძემ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოს დაცვითი და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები/წინადადებები	პასუხები და კომენტარები
სანიაღვრე არხი ღია მდგომარეობაში დარჩება თუ მთლიანად იხურება?	მოსახლეობის ეზოებში შესასვლელებში დამონტაჟდება ბეტონის მილები, გარკვეულ მონაკვეთებში სანიაღვრე არხი იქნება გადახურული ცხაურით, ხოლო დანარჩენი მონაკვეთები ღიად დარჩება.
იქნებ ეზოებში შესასვლელებიც გადაიხუროს ფოლადის ცხაურით? იმ შემთხვევაში, თუ მილი გაიჭედება მარტივად მოხდება მისი გაწმენდა. ამასთან შეიცვალა თუ არა ცხაურის ფორმა, რაც მოთხოვნილი იყო მგფ-ის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დროს.	მილების გადახურვა ცხაურით არ არის შესაძლებელი. ცხაურის ფორმა პროექტში შეიცვალა მოთხოვნის შესაბამისად.
სოფელ საგურამოს არ გააჩნია ნაგავსაყრელი. სად მოხდება სამშენებლო ნარჩენების განთავსება?	ინერტული ნარჩენები და ჭარბი გრუნტი უნდა განთავსდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე ან უახლოეს ნაგავსაყრელზე (სოფლე კავთისხევში ან ავჭალის ნაგავსაყრელზე;
ითვალისწინებს თუ არა პროექტი მოაჯირების მოწყობას უსაფრთხოების მიზნით?	პროექტით გათვალისიწნებულია ლითონის ღობის, ასევე, ლითონის დამცავი ბადის მოწყობა სარეაბილიტაციო გზის საშიშ მონაკვეთებზე, ასევე, მონასტრის შემოვლითი გზის გასწვრივ.
ითვალისწინებს თუ არა პროექტი ქვაფენილის მოწყობას?	ქვე-პროექტით გათვალისიწნებულია გრანიტის საფარველის მოწყობა მონასტრის მთავარი შესასვლელიდან გვერდით შესასვლელამდე მონასტრის კედლის გასწვრივ
სასურველი იქნებოდა ბეტონის საფარის მოწყობა სარეაბლიტაციო გზის მთელ მონაკვეთზე	ბეტონის საფარის მოწყობის შემთხევაში მნიშვნელოვნად გაიზრდება სატრანსპორტო საშუალებების მოცურობის რისკი. ბეტონის საფარი მოეწყობა გზის მონაკვეთზე სოფლე საგურამოს ფარგლებში, ხოლო გზის დანარჩენ ნაწილზე მოეწყობა ღორღის საფარი.
მონასტერისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს არის წყარო, სადაც არის წყარო. სასურველი იქნებოდა ამ ადგილას, ავტოსადგომისა და	აღნიშნული ადგილი შედის თბილისის ეროვნული პარკის შემადგენლობაში. ავტოსადგომის და ტუალეტის მოწყობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი უნდა

ტუალეტის მოწყობა	ამოირიცხოს დაცული ტერიტორიიდან, რაც არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად.

შეხვედრის დასასრულს დამსწრე საზოგადოებამ გამოხატა დადებითი დამოკიდებულება პროექტის განხორციელებისადმი და აღნიშნა, რომ რეაბილიტირებული გზა ხელს შეუწყობს ტურისტების რაოდენობის ზრდას, რაც დადებითად აისახება მათ შემოსავლებზე.
შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია.

შეხვედრის ოქმი მოამზადა ნინიკო ისაკაძემ.
2017 წლის 19 დეკემბერი

ფოტო მასალა:

დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

ზედაზენის მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (RDP III)
Rehabilitation of access road to Zedazeni monastery

შუბვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი
Public Consultation Meeting - 18.12.2017

List of Attendance

#	სახელი და გვარი / Full Name	მისამართი / Address	ორგანიზაცია / Organization	საკონტაქტო ინფორმაცია / Contact Information	ხელმოწერა / Signature
1	[illegible]	[illegible]	[illegible]	025: 577-64-04-74	[illegible]
2	[illegible]	[illegible]	[illegible]	599-85-92-28	[illegible]
3	[illegible]	[illegible]	[illegible]	599201126	[illegible]
4	[illegible]	[illegible]	[illegible]	599 40-06 80	[illegible]
5	[illegible]	[illegible]		599480009	[illegible]
6	[illegible]	[illegible] 7			[illegible]
7	[illegible]	[illegible]		555 65 99 22	[illegible]
8	[illegible]	[illegible]		599 76 12 33	[illegible]

9	[illegible]	[illegible]	[illegible]	598-78-78-38	[illegible]
10	[illegible]	" — "		551 88-11-41	[illegible]
11	[illegible]	" — "		551 64-85-64	[illegible]
12	[illegible]	" — "		593 72 93-32	[illegible]
13	[illegible]	—	[illegible]	599999941	[illegible]
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					